

24 12
1909



მათრახი

და საღამური

№ 23

ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი



1876

ამა მესტკირის გაცნობა
ყველასთვის არის ადვილი,
რაქიდან მოვლინებული,
„უბრაფაში“ აქვს ადგილი...

რასაც დაუკრავს, იმ ხმაზე
ფებს აწყობენ „მამები“...
დახეთ რა რიგათ ხტუნავენ
პატივცემული გემები!...

უშაპის ინტერვიუ.

პართენ გოთუასთან.

— ალბათ გიკვირთ, ბ.ნო პართენ ჩემი სტუმ-
რობა. არა?

— მე თქვენგან არაფერი აღარ გამიკვირდება
ბ.ნო ეშაპო! ისე ნომერს არ გამოუშობ. შე და-
ლოცვილო, რომ ჩემ შესახებ ორ სამ ალაგას ხელი
არ წაივარჯიშო...

— მერწმუნეთ, რომ ეს ავი გულით არ მომ-
დის. მართალი პირველ-ხანებში თქვენ უფრო მეტს
შრომობდით ჯოჯოხეთისა და ეშაპებისათვის, მა-
გრამ...

— რაღა მაგრამ, მე სწორეთ გამიტყდა გული
თქვენზე.

— ახლა ჩემსას აღარ იკითხავთ, ახლა ჩემსას
აღარ იკითხავთ? დავიღუპე მე უბედური, მე
წყალ წაღებული; ამას რას მომასწრო ღმადურმა
ბედის წერამ, უღმომღებმა ბედის ტრიალმა...

აქ მწარე ცრემლები წამსკდა და გულ-ამოს-
კვნილი ტირილი დაიწყო. პართენი ჯერ შეცბა,
მაგრამ მალე მოგონიერდა და თანაგრძობით და-
მიწყო მშვიდება.

— რა დაგემართა, ყმაწვილო, რა გუყოთ. მარ-
თალია მწელი რამეა იმედის გაცრუება,
ცხოვრებაში გულის გატება, მაგრამ ხომ ვაფიქრონია

გიორგი გვაზავის სიტყვები: «ქირსა შიგან გამაგრებდა, ისე უნდა ვით ქვითკირსაო». კარგი, დაწყნარება, გამაგებინე მიანქ რაშია საქმე. კარგი, კარგი...

ყოველივე ცდა ამაო იყო. ჩემი უზებულეების გახსენება ცრემლებს მიმატებდა და მოთქმა-ვაგბას მიორკეცებდა. ოთახში თითქმის სიეთი ტბა დაღვა ცრემლისა, რომ პართენის მოკლე სერთუკს მიაღდა.

— რა აშბავია, ბავშვო, ამდენი ცრემლები! კარგი გენაცვა, გეყოფა! ამდენი ცრემლები თვით სამოსნასაც არ დაუდგრია, „სნობის ფურკლის“ ფელეტონებში. კარგი დამშვიდდი.

მე კვლავ ესტროლი და ვიცრემლებოდი, რამეთუ დიდი იყო მწუხარება ჩემი.

— რა გინდა? იქნებ ადგილი გინდა ზანქში, იქნებ ჩემს რედაქციაში გინდა მუშაობა? კარგი, მითხარი გენაცვა, გაუფრთხილდი ამდენ ცრემლებს, სხვა არა იყოს სირცხვილია.

ყოველი ასეთი ტბილი სიტყვა მე ცრემლსა და მწუხარებას მიმატებდა. ვტიროდი, ვტიროდი დაუწყნარებლათ. თითონ მიკვირდა თუ საიდან მოსდინდებოდა უშრეტი ცრემლითა ნაკადი.

— იქნებ არტისტათ გინდა ქართულ თეატრში შემოსვლა? იქნებ წერა-კითხვის საზოგადოებაში ეძებ ალაგს? სთქვი, სთქვი და თუ რამე შემიძლია თავს არ დაგვზავავ; შრომას არ დავიხარება...

მე ესტროლი და კვალად ესტროლიდი.

— იქნებ სტივენდია გინდა, ბოშო? მითხარი, არც ამაზედ ვაგაწილებ, არც აქ დაგამადლი სამსახურს. ოლონდ ვაჩუმიდი, ოლონდ ვე ტირილი მოსკე.

— ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! ამომწყდა უცბე გულისიდან და ისევე მწყდა ცრემლით დავიმდურდი.

— რა ვქნა ღმერთმანი! რალაც მძიმე სეველა ვაწევეს გულზე ყმაწვილო! სთქვი გაბედე, ფიცსა ვსდებ: შენი დანაშაული, შენგან მოყენებული მწუხარება დავიფიწყო და დაგებნარო. ოლონდ გაბედე, ოლონდ მითხარი...

— მშვიდობით იმედებო, მშვიდობით გაცრუებულო იმედებო, ვაიმე, ვაიმე, ვაიმე... და კვალად დითრთვილა სახე ჩემი გულწრფელი, უმანკო ცრემლებით. ვატყობდი, რომ ჩემს არსებაში რალაც საშინელი ჯოჯოხეთი სდულდა და აჩუყებული გული ველარ დამემშვიდებია.

— კარგი ყმაწვილო, კარგი ღვთის გულისათვის! ნუ მაწამე, ნუ გამტანჯე. მითხარ რა გიკლავს გულზე, რა გიშფოთებს სულს. იქნებ რწმენა გამოგეცვალა, იქნებ მიხვდი, რომ დღემდე შემქდარი გზით ხვიდოდი და დღეს აგებლა თვალემი? მითხარი, მითხარი.

არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ამ უკანასკნელში სიტყვებმა უცბე ჩაჩრილა ჩემი მწუხარება: ცრემლმა შესწყვიტა დენა, სახემ უკუიყარა დაღრეჯილობა, გულმა ცეხის მოუკლო და თუმცა არა ხანგრძლივი, მაგრამ მიანქ მოვიბოვე მშვიდობა სულისა მძაგს, როცა რწმენით ვაჭრობენ ხლომე!

— თქვენ სცდებით ზნა პართენ! გამადლობთ თანაგრძობისათვის, მაგრამ თქვენ სცდებით, სცდებით.

— როგორ, მითხარი როგორ!

— როგორ და ჩემი მწუხარების მიზეზი თქვენა ხართ, თქვენ!

— როგორ! ღმერთო ჩემო! განა მე თქვენ, თვის რა დამიზივებია, მე... მე... მე... ვერ მივხვდარე... მითხარით, მითხარით ღვთის გულისათვის.

— თქვენ, თქვენ მომისპეთ სულის სიმშვიდე. თქვენ დამიკარგეთ უკანასკნელი იმედი, გამიქარწყლეთ მომავლის ნუგეში... თქვენ გამიშრეთ ცრემლი და მომიხარშეთ გული.

— ყმაწვილო! როგორ, როგორ? რატომ არ მეტყვი, რისთვის არ გამაგებინებ ჩემს დანაშაულს, მითხარი, ნუ მიმაღავ, ნუ მტანჯავ.

— როგორ ვითხრა, როგორ, ვითხრა, თქვენც დრამა დაგეწრით, ღმერთო ჩემო! ვი გაცრუებულო იმედო...

აქ კვალად წარსკდა მდულარე, გულწრფელი ცრემლი და გონს რა მოგედი ვებედვი თითონ პართენიც სტიროდა.

გარწმუნებთ მესიამოვნა.

ეშმაკი.

მე მას ვეძებდი... მას კი, ვიხილე, რომ სხვის უბნში თავი ჩადო! სატრფო მეგონა და ესეც ჩემთვის დაგანებია, მუხთალო ბედო!

მე თვალზე მომწყყდა ობოლი ცრემლი, მან კი, პასუხად. ვადიკისკისა; საბუთიც ჰქონდა: მის გვერდით მჯდომას ოქროთი სავსე ხელთ ვყვარა ქისა! ბედნიერია ეხლა ის ორი...

მე კი სველის წყლულს მით აღმიზლიან, რომ ერთი — გრძნობას, მეორე — ოქროს, ერთმანეთშორის ვაჭრულად სცდიან!...

ნ ზომიერთელი.

დებეშები.

(საქართველოს სახელგო)

ჯიხიში. სამრევლო სკოლაში მეოთხე კლასი გაიხსნა. საჭირო დარჩა ოთხ-თავიანი მასწავლებელი, დანაშენს ნუცუბიძე. ეს გაიგო პ. დევიძემ და მოითხოვა მისი გადაყენება. გამემ უარი უთხრა. შემდეგ ბნმა დევიძემ ქუთაისიდან ჩამოიტანა საბუთი თავისი ოთხთავიანობისა და იძულებული გახდა გამე, დაეთხოვა ნუცუბიძე, როგორც ერთ თავიანი მასწავლებელი.

იქიდანვე. ორი „მასტერიცა“ წაიჩხუნენ. ერთმა მეორე გალანძლა, გამარჯვებული გაიქცა და სტრატეგს დაუძახა. დამარცხებული მასტერიცა შეშინდა და ჩუმთა გაიპარა. სტრატეგმა დარჩენ ხელცარიელი, მძიმდვარი ლეკვა კი ძლიერ მადლიერი.

სამიქაო. ორი თვეა, რაც აქაურმა „პროგრესისტებმა“ დაარსეს ეგრეთ წოდებული „პროგრესიული სკამი“. ვინაიდან მასწავლებელი კიე კარგი მოარშიყე არ გამოდგა, მამა თ. კ. ეძებს ამ დარგში უფრო დახელოვნებულ ახალგაზდას.

სოხუმი. სოხუმის „პროგრესიულ ქალთა“ უკანასკნელ კრებაზე დადგინეს: დღიდან მოისპოს დღილიობრივ ქალებში ქოლგებში ჩხუბი“.

ერთი წელიწადია ჩვენი ქალაქი „უთავოთ“ ცხოვრობდა და ახლა როგორც იქნა გამოიბა გრაფის თავი.

ბახვი. ამბობენ ჩვენი მამასახლისი შუამდგომლობას აღძრავს სადაც ჯერ-არს, რომ ეგრეთ წოდებული „ნაოზახტისთვის“ ცალკე სახლი იქირაონ. მართლაც ის სატუსალო რა სატუსალოა, თუ 25 კაცს ვერ დაიტევს და ის მამასახლისი რაღა მამასახლისია, რომელსაც დღეში 50 კაცი მიიწერ არ უხის?

სამტრედია. სარევიზოო კომისიის აღმოჩენით უფასო წიგნთ-საცვლ სამკითხველოში აღმოჩენილი 2 წიგნი (ისიც ყდა მოვლევლილი) 1) „სიხშირის ახსნა“ ა. შახბაიათოვის გამოცემა და 2) მდივანოვის 1887 წლის კალენდარი. მკითხველი დღეში 2 1/2 სარგებლობს.

ილორი. მამასახლისი ერისტო იღბალამე მეტის აქანქრით ძლიერ დაილაღა და დღით ექიმ მახრის უფროსმა საპაეროთ ვირის ბაზოში გაგზავნა. შუქრალი ესტატე ჯორიძე მარტო ვერ ისვენებს დისიკ ერისტოსთან ეპირება გადასახლება.

ხაშური. ამას წინეთ დაპატრირებული მუცაძე გაანთავისუფლეს. დაპატრირეს ქაში, რომელსაც პასუხის ვებაში აძლევენ 102 მუცაძე.

იქიდანვე. ახლად გვემზაკებულს „შუახე ვაწიწკნა“ „კისერში ხელის წაკიდებით“ შეუცვლეს. იმედი აქვს, რომ სასჯელს სხვებსაც შეუშუბუქებენ.



ი მ ე ლ ი.

როგორც მსუსხავ ზამთრის ყინვისგან ახლათ ფურჩქნელი სქენება ყვეილი, ისე მეც, უმასა უიმედლის, მიპყრობს საზარი გულის სახშილი.

* * *

მაგრამ ვით ზამთარს, შავ-ბნელ დღიანსა სკვლის გაზაფხული კაშაშა-შაზანი, ეგრეთვე მივლსა ჩემს არსებაში მსწრაფლ შენდებიან იმედის მთანი.

დ. თურდოსპირელი.



გურული სცეხი.

- რა ამბავი პეტრიკვ გურიაში?
- რას ამბავი გინდა მარჯალიტათ.
- ნამუშეირი რავი იყო?
- ეუეთესი რომ არ შეიძლება. ერთი ცვარი ოფლი არ დავგიტყვევა ყოლიფერი ისე იოლათ მივლავეთ სამ დღეში.
- რავა, ისე პაწე მევიდა?
- ვინ გითხრა პაწე მევიდაო? სულზე თითო გორიკი მინე კი შეხთება—მერე იმას მოატეხამდე დღესია პე-პელი.
- ლენო მევიდა მაინც ბევი?
- სახელაშუთ იგიც გვეყვად მარა ზედაშე, რა გვიინდოდა რომ წირვა აღარ ვიცი.
- ვათხოვ-მოყვანის საქმე რაუფერ არის?
- ქორწილები ბვირით. ქორწილები წიგნს სულ დაბეჭდილს არიგებენ. ზოგი შეიღოს ათხოვს, ზოგი შეიღოს შეიღოს, ზოგი ბიძიშვილს ზოგი კიდევ შეიღოთ გამოზღოდ ნამარბე ციკას, ზოგი ნათლულს ქორწილით. გვიხედვ იე-

ყუდბა ალაპის ჩოგანებით ჭიშკარზე შვლიტი ყაზახი და იძახის: — „გი მინძელო“ ეტყვი მობრძანდითო, არა შინ ჩამოსასვლელათ არ მცალია სხვაგან მივეჩქარებო, ვერ ქორწილის წიგნები მაქ დასარჩებელი, თქვენც ბძანდებით დაპიოჯებული მუღულით და იმედია გვეცმ პატეგს, მანძლის ოჯახს გაამხიარულებ, გახსნი წიგნს წუკითხავ. შით ასე წერია:

«აა გიორგობისთვის შერდა დღესა დღით კვირას მაქ გათხვებთა ქორწილი ასკლისა ჩემისა კელასიისი რომელიც მითხოვილია აზნაურ ისიდორე სირბილაძეზე ამისათვის უმოჩილესათ გთხოვთ აღნიშნულ დღეს დღის 12 საათზე მობრძანდეთ და ამხიარულთ ოჯახს ჩემი რთაც დეგჩხები საუკუნით დავაღებელი.

პეტრე იობის ძე კვარკვალაძე და შვილები ჩემი: ვასო, გრიშა, პუი, ალიცანდრე, ხალამპრე და ტაგო »

— წიკითხავ ამდერ წერილს და შეიქნება საჩუი ერთი ვაი უშველებელი. დახედავს ქალი კონვერტზე, გააბრუნებს, გადმუბარუნებს და როცა წიკითხავს (მეუღლითურთ) დღიწყებ ტბილბთ ლაპარას.

— რაფერ იქნება, ბოშო ავი ამბავი ა? პეტრასს ვეფერობამდი ვერ დავკლტებით, პაწიი სხვაფერი კ ცოა, მისახმარი. პეტრეი პეტრეია, მარა აი მისი შვილები რაფერ გეიწილება. დიდი შეკრებლობა იქნება და ჩვენ ხომ ვერ გამოწყვდებით, ცოცაი უნდა წიეყვანოთ, გასათხოვარი შეიქნა ავტრ და იქნება მაგის ბელი გვიხსნას.

ყორიფელი კაი, თვალის გატყერა, ჯარში გარგვა მარა წახვალ და სამი ტლიკრა მანათი უნდა, არ წახვალ გაგიჩდება ჯოჯოხანეთი შინ დღიწყებს ქალი ტირილს ჰადს არ გამომიტხოვბს დაწობა არ ადგება, ადგება არ დაწობა, წელაქუნებს, მოთქვამს: მე უბედური მე განიქუეული, მე უბედომიჯღმჩი გამწარებული, მიდღმჩი გუზხარებელი, მიდღმჩი თვალ გუუპყრელი. შეიქნება ერთი მოთქვა ტირილი. პეტრეი იწერება გამხზირულე ჩემი ოჯახი, მისი ოჯახი კი იმხიარულებს თუ მუეტანე სამი მანეთი, მარა ჩემსას არ ეკითხვად? წამოგიგდებს ხელზე სამ კიგებ ძროხის ხარხოს და ერთ ნაქერს გამოტლიბუქულ პურს. ამისანაი წიგნი კვირეში ათი მაინც მოვივა, რაფერ უნდა გუუძღოს კაცმა?

(შემდგი იქნება)

პიტნა.



შ ა რ ა დ ა.

ვინ არის „მამაოჩენო“ ზეპირად რომ არ იცოდეს? (ხმახს ქრისტიანი ამგვარი სირცხვილითამაც იწოდეს!) აი, ამ ლოცვის, შვიდიოდ თხოვრა აქვს მიმართ უფლისა,

აქ ეს მომეო, იქ ~~სხვა~~ მივიდან ზეცად ~~ქრისტიანული~~ მეოთხე თხოვნის სავანი, აი რა გვირდა ამ ეჟმა, (თხოვნით კი ვითხოვთ, თუ მართლა გეწყალობა და გვექამა!) უთუოდ მიხვდით, რადგანაც აქ რაა მიუხვედრელი? მშვიერ ბინადარს მიწისას რა აქვს ცად შესავდრელი! ახლა მინახეთ მეორე აზნანი, მისაკერები, (აქ გამოჩნდება მოზრდილი ვისაც ასხია წვერები!). ქართული ქორონიკონი გვეკირია უსაშველოთა, რეჟასით თასისაკერ შვა გზად რა შევისვენოთა. ამისა შემდგომ ერთი რამ ნიფთი გეაქვს მოსახვეჭვი. (რამდენი ქალი მინახავს ქართლი იმისი ლექაი!!!) ცოხნიან დაუზოგავათ! (არ მომწონს სანახავათა ამბობენ: კბილებს ფერავსო ზედ თუ რამ აკრავს შავათა). ვინ იცის, იქნებ ვე სიტყვა შვერ თქვენგანს ეუცხოვოს... რა გზაა, ვეტყვი კოლოს, რომ ბოდში მოიხთოვოს.

მგარამ, სანაცლოდ, იმისგან თქვენც იღეთ რამე ყურადა, რადგან შარადს არა ვთხვებ მე თქვენდა მოსამღურადა. მაშ წვირლ ფრთოსანთა სახელი გასქერით შვაზე ორათა. (თუ ტოლსტოველი ვინმე ხარ, კრემლი წაგსკდება ღვარათა!) მეორე კატას მიუღდეთ თუ ვარგა შესაქმელათა, ხოლო პირველი იხმარეთ სხვა სიტყვის მისამღელათ. დაწყობთ სამივ ნაწილსა, ამ ტანჯვით გამოზახულსა და უცებ, გვარი ნაცნობი გაახლისებს თქვენ გულსა. რაც ქვეყნათ დღუმა დაარსდა პეტერბურგს ანაშენები, მის შემდეგ იმას სსახლეს

ყავს იგი დამამშვენებო.
 ათას გვიარ ცილსა სწამებენ
 მის „პოროტე ენები“,
 ჯერ თურმე არვის უნახავს
 სკამხედან მონასვენები,
 ვით მაიმუნნი წიწმატობს
 თითქო სტანჯადენ სენები,
 ათი ათასჯერ ყოფილა
 უზომოთ შენარცხენები.
 უზრდელი სიტყვეებისთვისაც
 მოსვლია განაჩენები,
 ერთი და ორი კვირითა
 ციხეში ჩამასვენები,
 მაგრამ რა, ხასიათი აქვს
 ასეთი შესაჩვენები.

არ ვიცი ვისთვის არ კმარა
 აქ სიტყვა მონახსენები...
 და არ თუ კაცნი, დახსნიან
 ვფიქრობ ჯორნი და ცხენები.

კოლო.



დ ე ტ ე მ ე ბ ი

(რუსეთის საავტორო)

აღესა. დღეს სპარსეთის ნაშახარი სატუსილო-
 ში შეიყვანეს. რასაკვირველია არა ჩადენილ დანა-
 შაულობათა მოსახდელათ, არამედ პირობების ვასა-
 ცნობათ, ნაშახარმა განაცხადა: ეს ციხე ყი არა, ეს
 ჩემთვის სასახლეთაც ივარგებსო. იმის აღტაცებას
 დასასრული არ ჰქონდა, რომ ეღიროს ასეთი მშვე-
 ნიერი სასახლის ნახვა. წინააღმდეგ ჩვეულებისა და
 მოლოდინისა არ მოუთხოვია ვასასრობათ რომე-
 ლიმე ტუსილის სარზე ჩამოგება ან თავდაღმა ჭერში
 გამოკიდება. განსაკუთრებით იმან გააოცა ყოფილი
 შახი, რომ ტუსადებს სახელმწიფო საკმელს (თუ
 შეიძლება საკმელი დაერქვას) აქმევენ. ჩვენ ასე არა
 ვშვეთვლივითა, განაცხადა აღმოსავლეთის მარგალიტ-
 მა, ჩვენს ტუსადებს ნათესავები აქმევენ და თუ
 ნათესავი არა ყავს, სჩანს ჰამაც აღარ დასჭირდებოა.
ვარშავა. საინტენდანტოს რევიზიას კული შე-

დგე მოჰყავ; თავი მოიწამლა ჰინტენდენტო დღენ-
 ჩიკოვმა. ამბობენ მას პადლოგებზე და შეუკრძამს გა-
 ფლანგვა აღმოჩნდაო. ამ სამშუხარო ამის შემდეგ
 იმედი აქვთ ყოველგვარ რევიზიებს მოსპობს მთავ-
 რობაო. ეს ხმები იმით არის გამოწვეული, რომ
 ქრთამებისა და გაფლანგვისათვის თუ მოხელე დისა-
 ჯა კაცი აღარ დარჩება საშახურშიო.

პეტერბურგი. ქართველი სტუდენტთა „სამე-
 ცნიერო წრის“ კრებაზე საინტერესო საკითხს შეე-
 ხენ.*) ერთ წევრს სოფ. ხონის მახლობლათ უზოგ-
 ნია ქვევრის ნატები, რომელსაც ქართული მებღრუ-
 ლით „ნოე“ აწერია. მას ეს ნატები პეტერბურგში
 ჩამოუტანია ამხანაგებთან ერთად გამოსაკვლევათ.
 ნატებს 15 ოთხკუთხი დუიშის სიგრძე აქვს და იწო-
 ნის გირვანქას და 11 მისხალს. მთელი საღამო
 ახალგაზრდა მეცნიერებმა იმის გამოკვებას მოან-
 დომეს, თუქას ნიშნავს სიტყვა „ნოე“, რომელიც
 ერთობ გაურკვევლათ ემჩნევა ქვევრის ნატებს. და-
 სასრულ თითონ მოგვენმა წაიკითხა ვრცელი მო-
 ხსენება და დამტკიცა, რომ ეს ქვევრი ყოფილა იმ
 ისტორიული ნოეს ქვევრი, რომელიც წარღვის
 შემდეგ არარატის მთის ძირში წდასახლდა და ვენა-
 ხი მოაშენაო. ეს საყურადღებო გამოკვლევა ბევრს
 საიდუმლოებას ხდის ფარდას: ხდის ადგილათა დღევანდ-
 ლამდე ნოეს ქართველათ არ სცნობდენ, არარატის
 მთა სომხეთში ეგონათ და არა ხონში და ათასი
 სხვა. წრემ განსაკუთრებულის აღერთოვნებით მო-
 ისმინა ეს რეფერატი და თითქმის ერთხმათ დაეთან-
 ხმა ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს.

პეტერბურგი. სახელმწიფო ღელამ გააორკეცა
 თავისი მოქმედება ქვეყნის საკეთილდღეოთ. ამ ბო-
 ლო დროს ოქტომბრისტებმა უფრო მარჯვნივ დაი-
 წიეს და მემარჯვენებმა მარცხნივ. ოქტომბრისტე-
 ბის ხათრისთვის მემარჯვენებმა ხმა მისცეს ერთ
 ახალს, მეტად საყურადღებო კანონ-პროექტს. სა-
 ხელდობრ: აეკრძალოს ცხენების მომშენებლთ, ცხე-
 ნებს სასულიერო პირთა სახელები დაარქვან. გა-
 მოირკვა, რომ მოსკოვში ცნობილ იორდა ცხენს
 სახელათ „პეტრე-დიკონი“ რქმევიო. იმედი აქვთ
 ამ კანონ-პროექტის მიღება საესებთ დაამშვენდებს
 რუსეთის ცხოვრებას.

* ამ სტომის შესახებ ვრცელი წერილი მიიღო ბ.ნა-
 ეშმაკმა „არა მეცნიერისაგან“, მთა ჯერ-ჯერობით ვერ ბეჭ-
 დავს, რადან არა მეცნიერის წაღილ საუფროსი სახლისა და
 გვარის მოწერა დავიწყებია, აღბრუნ ეს მეტის სიხარულისაგან
 მოსვლია, მაგრამ მაინც დავიწყებია.

რედ.

ო ბ ო ბ ა.

ქსელსა ქსელადა ობობა,
ვადიოდ-ვაძოდიოდა...
ზოგიერთების სიტყვებზე
სწულდა და ასე ჩიოდა:

“ვინც „კაპიტალისტს“ ახსენებს
წყველა-კრულვით და კიცხვითო,
ის იქვე მეც მისხენიებს
არა საკადრის სიტყვითო:

„ზხედავთ ამ კაპიტალისტსა,
გულ ქვასა, სისხლის მსმელსაო,
ობობასა ჰგავს, მასავით
მუშებს ვაუბამს ქსელსაო!“

ასეთი შედარებისთვის
მე მათ კარგს ვეტყვი-ვერასო,
რა მიგავს ნეტავ მუშის მტერს
იმ წუწქსა, გაიძვრასო...

მე სხვა ვარ, იგი სხვა არი
სწორს ნუ აღაჩებთ მრულსაო,
მე თუ ბუზებს ველეტ მერე რა?
თქვენ აქ რას ხედავთ ცულსაო?

ზოგი თუმც მავნეთ ვერ სწნობს ბუზს,
მაგრამ ვინც გაიხსენებსო,
ხალხში სულ ბუზი ავრცელებს
ბევრგვარ ვადამღებ სენებსო:

სიბინძურებ დაჯდება;
«ბაცილებს» ფეხთ მოიდებსო,
შემდეგ სუფრასზე გიწვევით,
(არავის მოირიდებსო)

საქმელზე შეგეცილებათ,
თქვენც უქშევთ, ხელებს აქნევთო,
თან საქმელსა სჯამი? მაგრამ ზედ
„ბაცილებს“ კი ვერ ამჩნევთო.

ეს „ბაცილები“ ვისაც ჰკლავს,
ბევრი ამას სთვლის წწრათაო.“
ბუზს-კი ვერ ცნობენ საწყლები
კაცობრიობის მტრათაო...

და აი, მეც ამ ბუზებს ველეტ,
თქვენ-კი მადლს აღარ მიხდითო?!
ან ნახეთ „კაპიტალისტსიც“
რა დიდ მსხვერპლს ითხოვს მიხვითთო:


რაც სიმდიდრეა ამ ქვეყნათ,
რითაც სულდამგულოდა გიერთო,
სულ მუშის ხელით შექმნილა
ყოველგან ყველაფერთაო,

და აი, „კაპიტალისტსიც“
ამ მუშებს ოფლში სწურავსო
და მათი შრომის წყალობით
სულ სიმდიდრეში ცურავსო.

მუშებს-კი რომ ჰკლავს შიმშილი,
„რას ვნადლობ?“ ასე ამბობსო
და იმის შვა გულს, ჰკათა ქცეულს,
ველარაფერს აღბობსო.

ასეთ კაცს როცა მადარებთ,
როგორ არ მეწყვიწყვილებს
ეს შედარება... „ტყვერას“ ვჭერცხვ,
ძალიან მერცხვიწვიბაო.“

ფონ-ტეფო.



„მუშის ძიება.“

ფოთელი პროვიზორი ა. ჩხეიძე ძლიერ აღელ-
ვებული იჯდა საწერ მაგიდასთან. წინ ერთი ზარკა
მაღაზის ბლანკები და კალმები ეწყო. ცხალათ ჩნდა
წერას ეპირებოდა.

— მე ვუწვინებ მაგათ, როგორ უნდა ლანძღვა
და ცოდვთა გამოძღვანება. ჩილიპარაკა მან, და
ერთ სუფთა, თუმაკო ქალაღს დააბჯინა თავისი
თოვლივით თურთი, მაგრამ წამღებისაგან „სუნ მი-
ღებული“ ხელი.

„გაზეთის მომავლის“

თვილისში რედაქტორი“
დასწერა მან და რაკი სიტყვათა წყობა არ მოეწო-
ნა, ბლანკი დახია და გადაყარა.

— დასწყველის ღმერთი! ეს ქართული ენა
ლანძღვისათვის სწორეთ მოუხერხებელია! То-ли
дѣло по русскій! ეგ შენი ჭირიმე.

ესა სთქვა, და პატივცემული პროვიზორი დაემდუ-
რა ქართულ სიტყვიერებას. მან თავისი შეურაც-
ხყოფის მოსარეცხათ რუსული ენა აირჩია.

— კაცმა რომ სიბრათლეთ სთქვას, განა რას ვერჩი
რედაქტორს? ჩუმათ რეცეპტებს და აკრძალულ წამ-
ლებს ვაკეთებ, თუ შემიტყუებს ჩამავდებენ გაზეთში,
მა რა იქნება? მაგრამ ერთს გულს მაინც ვიჯერებ.

აქ პროვიზორი ა. ჩხეიძე კვლავ ჩაფიქრდა.
რაც უნდა ჩვეული იყოს, აღმაიანი ძნელია, ახალს
უსირცხვილობს რო იდენს! რაც უნდა დაჯაბნებულ
აი ყავდეს ინდისი აღამიანის! აე! განზრახებულ
დაბოროტ საქმეებს ის მკრთალად მაინც იჩენს ხოლმე
თავს.

— მოდი ერთი დედას შეეგვიანებ იმ რედ-
ქტორს! ჩილიპარაკა მან და კალამიც მოიმაჯავა,
მაგრამ ისევ უკუ ავლო ეს ახირებული განზრახვა!..

— განა რა რედაქტორის ბრალია? მაშ მოდი
კორესპონდენტს შევავინებ! არა, ან კორესპონ-

დენტი რა შეაშა?! მე წამალი გავაკეთე და მან გაზეთში ჩასწერა. ცხადია მე რომ არ ვამეკეთებია ის ვერ ჩასწერდა!..

დიღხანს მსჯელობდა და ებრძოდა თავის თავს პატივცემული პროვიზორი, მაგრამ ბოლოს სძლია მოზღვავებულმა გრძობამ საღლაჲ მიკუნჭულეულ სინდისს და პროვიზორის კალამმა რუსულ ჰანგზე დაიწყო წრიანნი.

— ეს ჩ ნებულია! დიახ ეს სწორეთ ჩინებუ-ლია! კების შებრუნება სწორეთ ამას ქვია. შე კი კაცო, პოლიცია თუ არა გწამს, მაშ არც იმის პროტოკოლი უნდა დაიჯერო და თუ გწამს მაშ შენც პოლიციელი ყოფილხარ! Вот это пони-маю! არა, კარგ დროს კი გამოამდა ეს პოლიცია, არა? აი დაფუსვამ ასეთ კითხვას: 1) Давно ли ваша редакция стала руководствоваться поли-цейскими протоколамы для выяснения истины? მეტყი. ნეტავ რას მიპასუხებენ ამაზე?

პროვიზორმა ეშმაკურათ ჩაიციწა და მალაზია-ში შემოსულ მუშტარს დააცქერდა.

— ოოოჲ, ძნელია, ძნელი ჩგენი, პროვიზორე-ბის საქმე! ვინც გინდა ჩვენზე მოდის იერიშით, მაგ-რამ არც ჩვენ დაგვხედებით ურიგოთ!

მან ერთხელ კიდევ ჩაიციწა და კვალად ააწ-რიონა კალამი!

— მეც, მაგრამ თქვენც! ჩაილაპარაკა მან, ხელ მეორეთ წაიკითხა თავისი გონების სურნელო-ვანი ნაყუდი, ჩალო კონვერტში, დააწერა ზედ აღ-რესი „მომავლის“ რედაქციისა და გავიდა ქუჩაში.

„მასკა“

მომავალი წელი

ვდგევარ გაუვალ ეკლიან გზაზე, ვკაფავ და ვკაფავ, მიჭირავს ცელი.

შენც, მეგობარო, გთხოვ მომეხმარო, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი!

ვცდილობ ამოვფხრა დეღამიწიდან ღრმით რომ ვაღღგაშს ფესვები გრძელი,

შენც, მეგობარო, მედგრათ იბრძოლე, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი!

მსურს დავანგრიო ფარსიველთა თვლით მაქცუ ტაძარი, საკურთხეველი,

შენც, მეგობარო, წერაქვს მიმართე, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი!

მსურს სარკეთ ვიქცე, ავხაუკებსა ვაჩვენო მათი ცრუ საქციელი,

შენც, მეგობარო, ასე მოიქეცე, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი!

მსურს დავიძახხო, რომ ჩვენშიც არის ოკრო-ვერცხლზედა ძმის გამყიდველი,

შენც, მეგობარო, ხმა ამოლე, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი! გამარავლა ჩვენში კამისიტბ ლარიბ-ლატაკთა მუყელფეჲ მძარცველი, შენც, მეგობარო, მათ არ მიპაძია, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი!

თუმც კიხე-კიხირს, თოკასა და ტყვიას მსხვერპლად შეწირის სიმართლის მოქმელი, შენც, მეგობარო, გწამდეს სიმართლე, გვერდში მომიდევ, მომეცი წელი!

მაგრამ ამ დროში ერთგულ მეგობარს ძნელად ვიპოვნი, ამათ ველი, შენც, მეგობარო, ეკვით გიყურებ გვერდშიც რომ მიდევ და მომცე წელი.

ა. ზანჯის-კარელი.



ორი ეშმაკი.

„ვგონის გასინჯვა.“

მეორე. ამბობენ ტრამვის ასეთი ვაგონები ჯერ დედა-მიწის ზურგზე არავის უნახავსო.

ზარე. სამას სამოც და ხუთ წმინდა გიორგიზე დაიფიცებ, რომ ეს მართლაც განსხვავებული რა-მეა არა თუ თფილისის ტრამვის ცხოვრებაში, არა-მედ, თვით ტრამვის ისტორიაშიაც.

მეორე. კარგათ გასინჯეთ?

ზარე. რა?

მეორე. როგორ თუ რა! რა ვიცი, გასასინჯი კიდევ რა ქონდათ?

ზარგ. როგორ ხამივით ლაპარაკობ, შე დალოცვილო. გასასინჯავი განა მარტო ვაგონი გვექონდა? პირიქით, ვაგონის გასინჯისთვის იქ ბევრს არ გაუტყუებელია თავი.

შეარგ. მაშ რა ჯანაბას სინჯავდით რომ არ ვიცი?

ზარგ. ვაგონით შე მამაცხონებულო მხოლოდ ერევის მოედანიდან „გაფიკატავეთ“, თორემ ტრამვის პარკში ჩვენ სულ სხვა საქმე მიგველოდა.

შეარგ. შერე რა ჯანაბა საქმე იყო აღარ იტყვი?

ზარგ. საქმე იქ იყო, თორემ ვაგონი რა, ეს ჩვეულებრივი ვაგონია, რომელსაც ერთი მხარე უფრო უკეთ აქვს შეღობილი ვიდრე „ძველი“ სისტემის ვაგონებს.

შეარგ. ეს კარგი, მაგრამ იქ სხვა რაღა გააკეთეთ?

ზარგ. რა გავაკეთეთ და ის, რასაც ქვეყანა აკეთებს, როცა ერთ ჭირს შორჩება ხოლმე.

შეარგ. თქვი, კაცო, ნუ გადამიყოფე.

ზარგ. ნუ თუ იმასაც თქმა უნდა რას გავაკეთებ დით? რა გავაკეთეთ და ჩავლიეთ, ვახტანგურათ ჩავლიეთ!

შეარგ. ჩალიეთ? რა ჩალიეთ? რისთვის ჩალიეთ?

ზარგ. ა გიყი! რას ჩავლივდით ახლა ამხედრაც ლექციის კითხვა გინდა? ჩავლიეთ, ჩი, ღვინო და სხვა მრავალი ამისთანაობა.

შეარგ. ბევრი დაგეხარჯა?

ზარგ. ვის?

შეარგ. ვისა და შენ, ან კიდევ სხვა სტუმრებს?

ზარგ. რა?

შეარგ. ა, გიყი! რა დაგვეხარჯებოდა თუ არ ფული? ახლა ამხედრაც ლექციის კითხვა გჭირია?

ზარგ. რას ამბობ კაცო, შენ ვერ წარმოიდგენ რა ხელუხევი კაცი, რა ქველმოქმედი აღამიანი, რა სტუმართ-მოყვარე არსი ყოფილა ეს ტრამვის რედაქტორი!

შეარგ. რომელი ტრამვის რედაქტორი კაცო?

ზარგ. ეპროგორ დავიბენი, სულ რედაქტორი მახსოვს. ღირექტორი კაცო, ღირექტორი. როცა უნდა და საცა უნდა ხელის მოჭერა და ყაირათიც იცის, მაგრამ ქიფისი ღროს სუფრაც ჩინებული სკოლნია. აფსუს რომ ის ბელგიელათ გაუჩენია ღმერთს და არა ქართველათ.

შეარგ. სტუმრები ბევრი იყვნ?

ზარგ. რას ამბობ კაცო! მეზობლებიც ბევრი ყავდა და გარემონიც ბლომათ. აღმინისტრაცია, ქალაქის წარმომადგენლობა, პრესა და...

შეარგ. კარგი ერთი მამა გიცხონდებ! პრესას იქ ვინ მიამაგებდა?

ზარგ. რა კი ვამბობ იყო მეთქი, ზნაირც იყო. ისეთი მეშინოდა, ისეთი მეშინოდა, სულ ვკანკალეცახსებდი.

შეარგ. მერე რამ შევაშინა?

ზარგ. როგორ თუ რამ, გიორგი ამირაჯიბი და ხეჩატუროვი ერთად ისინდენ. კიდევ კარგი, რომ სპექმელი ბლომათ იყო და როგორც ერთის პირს, ისე

მეორის ხელებს საქმე ქონდათ, თორემ იცოცხლე იქ საქმე აღებოდა.

შეარგ. ისინი ალბათ განცხადების სისხოვრათ იქნებოდენ მოსულნი, არა?

ზარგ. მართალი გითხრა იქ ამის მსგავსი არაფერი გაუშველიათ და გულში რას ფიქრობდენ არ ვიცი. შესანიშნავი თამადა გამოდგა ბნი ხატისოვი.

„გადაპკრეს და სადღეგრძელო, სათითაოთ გააჩინეს, სამაღლომელს საფესს სვამდენ, წვეთიც არვის შეაჩინეს“

ამან ღირექტორიც გაახალისა. სუფრას თავზე არ გდემოხტომია, მაგრამ, ისე კი ხტოლა.

შეარგ. მუშები რას შეგბოდენ?

ზარგ. ვიინ?

შეარგ. მუშები, ტრამვის მუშები.

ზარგ. მუშებიით... ჰმ!

„მასკა“



მესტვირული. (ბათუმისათვის)

თავზე თმა აღარ მეფევა მე შავი ერთი ღერიო,— სიბერე შემომეპარა ბოლო ღროს ეგ ოხერიო; მარა გულს მიინც არ ვიტყბ, ამით ვარ ბედნიერიო, დავალ ბოვანო, ეული ვით მწირი ვინმე ბერიო, დილია ხმელთა სამყარო,

გრძელი და განიერიო,
 დავთმე ამ ქვეყნის განცხრომა,
 სიამე ეამიერიო,
 გაუტანელი სოფელი,
 მისი ამაოლი ერიო,
 აღარ მსურს გულის საკლავად
 მე იმ ფერხულში ვერიო,
 მეგობართა მყავს ქამანჩა,
 — ეგ გულა გასაბერიო,
 სტვირი სულ ხელში მიჭირავს
 მე განზე ვასადერიო,
 და ოდეს სეგდა მეწვევა
 ეუკრავ და თანაც ვმღერიო.
 დღეს მსურს ბათუმი შევამყო,
 ბუნებით მშვენიერიო,
 დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
 პარალი. პერი, ერიო!
 ვისაც გაქვს გამოცდილება
 და ქუუა შესაფერიო,
 მოდით და ნახეთ სიბირი
 ასერილა მონასტერიო.
 მამა შეიღოს ვეღარ განიცდის,
 შეილია მიმის მტერიო,
 გუშინდელ მოყვრებს მოსვლია
 დღეს შუღლი ვასაშტერიო,
 ერთმანეთს განზე უზღვეერენ,
 მუშტებით მონადერიო.

(ცოტა მიკლია ამათში
 მოხავეთ ჩამოვერიო).

„უბრადა“ გახეთს უბირებს
 ზურგზე აღინოს მტვერიო,
 მუჭოვით დაუფაფხურა:—
 რატომ ხარ ავრე შტერიო!
 რაც შეგრაჩა იმის წყალობით,
 რომ გაძევს პალმის ფერიო
 ზრდილობა აღარ გვიარგა,
 კილო—სულ არაფერიო,
 აზრი გაქვს „კეშმარტული“
 პალმისვე მონაბერიო.

გახეთმა შემოუთვალა:
 მომქამე ნეკის წვერიო

(ასე წერია წერილში
 მე ვნახე დანაწერიო)

გინდა გავსრისო, ვით ბუზი,
 ან მკირე რამე მწერიო?
 ვის ემუქრები თუ იცო,
 სად თეკლე, სად ეთერიო,
 იდექ, დასკალე სკამები,
 გასწი და წაეთერიო



ცხოვრება შრომინების
 სამათხის მისადრად:
 ჭირისუფლები გამოსაქენ
 ათი-ათასი გუგრა!
 არაფის აძლევს გასაქანს
 მათი მათრახის ტარა,
 სულუფეგელ დარგში ერთგვარად
 მონაქნევა-მონახმარია.

აი აქ, ხალხს ქრისტანს
 (გურიაში რომ არა)
 მოსწონდა ტარად ვლინება
 და ეკლესიის კარა.
 იქ ზუდი გეულებოდა,
 ცხოვრების გამაშვარია,
 ვინცდ დრამისა ქანქარისთვის
 დღე გაუთენს მწარა,
 მაგრამ უხევა კაცს სოფელსა
 მაჭმადისხა ჯარია,
 და ნახეთ სავერუელებს
 სსწყულთ მისადრათ.
 რომ მაჭმადის მღორეგელნი
 ბედაურ ცხენთა მუდარნა,
 ბირგეენ ხალხს იქთაგენ
 სდ ეკლესიის კარა,
 სდა შეხვლებათ მოძღვარი
 მათ სხე მომდიმარა,
 მათრახის კუდით მღორეგელნი
 საუდარში მინაგვარია
 დრამის ფულის გარეშედ
 სხვედ ექნეს მონაგარათ.

აღო.

ფართე ფრაზები გეძევათ
 ენაზე დასაკერიო,
 საქმით კი მოკლე ბრძანდებით,
 ვით პოლკის იუნკერიო,
 ბათუმში გავგიმრავლენით
 უსახლო და უკერიო,
 ნუ ფიქრობ უსაქმოები

ოგოლი ბრუნა

(სარედაქტორო ხელნაწერი)

ვერ ვსძლიო, ვერ მოვერიო,
გაჩვენებ, თქვენისთანები,
მე როგორ მოვიგვირიო.
პარმენ ყვენი გვეყოფათ,
ეს თქვენი „ყველაფერიო“
თქვენ რა ხართ, ის რა იქნება,
—თქვენივე შესაფერიო—
ადრე გაჩვენებ მაგ ბატონს,
შეგარბენინო სერიო,
ზურგზე წულულები სტივიოდეს
მათიხით დანასერიო
და თუ მიმტყუნოს ქაღიღმა
მიმოპართ ეგ კისერიო.

ესეთი ლანძღვა ვინების
არ მქონდა წარმოდგენაო

(მაგრამ რას იზამ თუ კაცმა
წამოიგრძელა ენაო)

არც მოთმინება დამირჩა,
მე ცოდევილს ამოდგენაო.
და იგი ჩემი მათიხი,
ოჰ, ომერთმა ააშენაო)
ვეუცხუნე ქვედა ნაწილზე,
იქ ვაგრძნობინე ტყენაო.
მლანძღვე შევიწაწურე,
ვუთხარა: თავებდობ შინაო
ამდენი ლანძღვა-გინებით
წაიღე ყურთა სმენაო.

თუ რომ „უბრადა“, სცდებოდა, —
ქურდები „ჩააყენაო“

შარშანც იცოდი ეს კარგად

დღეს რაღამ გაგახსენაო?

მაშინ კი არას ამბობდი,

არ გსურდა მათი წყენაო!

და როცა შავმა დაიწყო

თქვენ შუა, კატამ, რბენაო,

მაშინ დაქვიტეთ ყურები;

იწყეთ უბილო კენაო.

მწერლური არის საქირო

კილო და მისი ენაო

თორემ არ ვარგებს ბრძოლაში,

შენ მარტო, ურკო რქენაო.

— თუ რამე მქონდა სათქმელი

ვერ დავასრულე ყველაო,

გულას რომ სული ეპარვის

იჩუტვის ნელო ნელოა,

მისი ამდენი ბერკეთაო,

დამაწყებია ზველაო,

წყალი ესეი, არა მიშველაო,

ყელი არ გამისველაო,

ამიტომ ჩემი შაირიც

შევწყიტებ ხელ და ხელაო.

ერთ უდაბურ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ
ბეჭეზე სწვრდენ ნახშირითა, სცხოვრებდა ერთი ცხრა
თავიანი ღვეი. ერთ შშვენიერ დღეს ღვემა დაინა-
ხა პატარა ბავშვი, რომელიც გაქვირებით ხატავდა
რაღაცას ნახშირითა, შეეცოლვა და განიზრახა: მე
დღეიდან უთუოდ ხალხისთვის რაიმე საწვრი ნივთი
მოვიგონო. აფიქრა და კიდევაც აასრულა. დი-
ქირა ერთი ცხვარი და გააძრო ტყავი. ხორცი ხორ-
ცად მოიხმარა, ხოლო ტყავისაგან გამოსქრა ოთხ-
კუთხი, რომელზედაც დასწვრა თავისი ახალ-გამო-
გონება და დაარიგა ხალხში. ხალხი ალტაცებაში
შაიყვანა ამ ამბავმა და მაღლიერი იხსენიებდა დღეს.

ასე მოიგონეს თურმე ძველს-ძველათ ბავშვთა.

მას შემდეგ ძლიერ დიდი ხანი გავადა. მთუ
დაიზარდენ, მდინარეები და ზღვები დაშრენ, ტუ-
ები გაჩანადგენ და ხალხიც გალატაკდა. დროთა ვი-
თარებისა გამო, რასაკვირკელაა გახუთებამაც იცა-
ლეს ფერი. ტყავის ნაცვლად მოიგონეს ქალაღი
და ნახშირის მაკერი ათას გვარი საღებავები!

გამოჩნდენ მრავალი თავდაებულნი პირნი,
რომელნიც არ ზოგავდენ არც ძალას, არც ქონე-
ბას (უმთავრესათ სხვისას) რომ ხალხისთვის ბევრი
და კარგი ამბავი მიეწოდებინათ. ასეთ თავდადებულ
პირებს მაშინაც რედაქტორებს ენახოდენ და უზო-
მო პატრეს სცემდენ. რედაქტორებიც აღარაფერს
ზოგავდენ, დამის თორმეტ საათამდე იხსდენ, ქირის
ოფლში იწურებოდენ. ერთი უბრალო ცნობა, დი-
ლიდან დალაქებამდე მომხდარი, მათ ყურს არ გა-
მოეპარებოდა, უთუოდ დაიქერდენ, ქალაღზე
გადახატავდენ, მერე მაშინაში ჩაავდებდენ და ხალხს
უგზავნიდენ.

ხალხის ალტაცებასაც საზღვარი არა მქონდა
და გახუთებისადმი ინტერესი ასეც აღებოდა. ამ გა-
რემოვებამ ბევრი ხალხი მიიზიდა რედაქტორთაქანადმი
და ერთობ გამარავლდა გახუთთა რიცხოვნობა.
რედაქტორები ერთი-მეორეს ეჯიბრებოდენ, ერთი
მეორეს ხელიდან სუაცებდენ ახალსა და საყურად-
ღებო ამბებს, რომ ამით თავისი გახუთი გაეუმჯო-
ბესებინათ და მკითხველი საზოგადოება მოეხვეჭათ.
დამეებს ათენებდენ, დღეებს აღამებდენ, ათასგვარ
ჯურღმულეში დაძვრებოდენ და ამგვარათ გაქირ-
ვებით აუმჯობესებდენ თავის ორგანოთა (ამ ხანებ-
ში გახუთებს ორგანო დერქვა) შინაარსს. მიუხე-
დავთ ამისა, რაც ხანი გადიოდა გახუთ-ორგანოთა
რიცხვი თანდათან მრავლდებოდა, მკითხველთა ყუ-
რადლება იფანტებოდა და რედაქტორებუ ხშირ ხა

რალს ვანიცდიდენ. ბევრი მათგანი სრულიად შეე-
ლია მკითხველს, გააკტრდა და მწარე საგანე-
ბელში ჩაიარდა. არსთი იმედი არსით ნუგეში!

მაგრამ! „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა
მისგან განაჩენსა!“

ამ გაქვირების დროს ერთ რედაქტორს მოუ-
ვიდა ჩინებული აზრი. ხომ გაგიგონიათ: „გაქვირე-
ბა საუკეთესო მასწავლებელია“ — ერთ მშვენიერ
დღეს, მან თავისი ვახუთი აღრე დაამზადა და მეო-
რე დღის მაგივრით იმეგ საღამოს გამოუშვა. ოჰ
საკვირველებზე? ხალხს ჯერ არ ენახა ხვალისდელი
დღე წინ, სადღესით გადმოტანილი და ბუზივით
დაედვა მოხერხებული რედაქტორის ვახუთს. და გა-
ნა ვის არ დაანტერესებს სახვლიო ამბის დღეს
(თუნდა საღამოთი) გავგება. ხერხმა გასქრა და ხერ-
ხიანი რედაქტორის ორგანო უტყბ მოღონიერდა.

მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია! სხვა რედა-
ქტორებმა კარგა ხანი უყურეს ამ ამბავს და ბო-
ლოს, საშინელი მომავლის შიშით, თითონაც ერთი
დღით აღრე გაათენეს. უტყბო, გაუნათლებელი ქვეყ-
ნის ხალხი ვაოცებით შეპყრებდა ამ ამბავს და
ვერ წარმოედგინა როგორ შეიძლება ერთი დღით
აღრე გათენება. ჯერ კიდევ მზე შუბის ჭარზე არ
იყო დასული, რომ ვახუთის გამყიდველები ხმა მალ-
ლა გაჰკიოდენ:

— იყიდეთ ხვალისდელი ვახუთი, იყიდეთ და
გაიგეთ რა მოხდება ხვალაო.

ამ ვარემოებამ გზა გაუხსნა გამომგონს. იმან
უფრო განავითარა თავისი მახვილი გამოგონება და
საღამოს ნაცვლად ვახუთი დილითვე გამოუშვა,
მაგრამ ერთი დღის შემდეგ ყველა მიმბძველი გა-
უხდა. ან სიკვდილი და ან სხვისი მოსწრება! ასე-
თი მწვევე საკითხი დაუდგა იმ ქვეყნის ვახუთებს და
მართლაც გაჯობებამ უმაღლეს წერტილამდე მიად-
წია. ჯერ გამოსცეს ვახუთები სახვლიო დღეს,
შემდეგ სახვლიო და ბოლოს შაბათის ნომერს ორ-
შაბათს ბეჭდადენ.

ამან რასაკვირველია დიდი ზარალი მიაცუნა,
როგორც რედაქტორებს, აგრეთვე მყიდველებსაც,
რადგან ვახუთის შინაარსს ყურადღებას აღარავინ
აქცევდა და მთელი ყურადღება მარტალ და მხო-
ლოდ.

ობოლი გროშისაკენ

იყო მიქცეული. დაცვა მწერლობის საქმე და გან-
ვითარდა მხოლოდ ჩარჩობა. ასე ვაგრძელდა დიდ-
ხანს. ბოლოს ერთმა მღვრე-რედაქტორმა კიდევ ითა-
ვა საქვეყნო საქმე.

მან მოიწვია ყველა მწიკრ-მამლარი რედაქტო-
რები და უთხრა: „მეგობო! ჩვენ თითონ ვიღუპავთ

თავის თავს. ერთი და ორი დღით აღრე გათენება
ჩვენ ერთი და ორი დღით აღრე მთავრდება. ბო-
ლოს. ამიტომ ვიფიქროთ და იქნებ უკეთესი რამ
წამალი მოვიგონოთო.

რედაქტორები მწარეთ ჩაფიქრდენ და ჯერაც
ისე სხედან: ქირი იქა, ლხინი იქა, ქატო იქა,
ფქვილი იქა.

ეშმაკი ბებია.

ქესტვირულია.

(გუძენი ფოთლებს)

ჩაებრე ჩემსა გულასა,

ავალიდენე სტვირია,

კარ და კარ დავალ და ვუმღერ

ვის რავარ ჰიმნზე სკირია.

მიდგომით არვის ვუდგებო,

არ გამიშვედს პირია,

თუნდ იუოს ქვეყნის პატრონი,

თუნდ უებარი გპირია,

თუნდ ბერი, თუნდა მოძღვარი,

თუნდ ვაქრუკანა ტირია,

თუნდ ამხანაგი, ჩემსავით

ბელისგან განაწირია.

სიავეს უბრძვი, გულით მსურს

რომ ამოვეუდლო ძირია,

და არად ვიმჩნევ ამიტომ

თუნდ რა დამატუდეს ქირია.

მ.შ წინასწარი მილოცვა

ჯაველიძის სკირია

და „ნოსის“ ჩაიმასქნაში*)

დატანჯულ — დანატირია.

მარს უქერს გერასიძია,

(მისი მეორე პირია)

ამ სასახლო საქმისთვის

აძლიან დანაპირია.

ძირებსაც კრებენ ერთმად,

საქმე დიდ-გასაკვირია,

კმეჩი მთავარ-სარდლათ ყავთ

და მესაკვირედ ვირია.

საკაა ბრძოლაც ატუდება,

შეუკრძანდება მთა-ბარი

ანაფორიანთ ზღუდში

მთლად აირევა დავთარი.

პირველ ერმალა გამოვა,

მეორედ შის მეგობარი

*) ნოსია ქართულათ ცხვირს ნიშნავს, ხოლო „ნო-
სის“ ჩაიმასქნა, ალბ თ ცხვირის ჩაიმასქნაა. მოასწავებს.

და ბოლოს ბრძოლის საქმეში
 კარგათ ვარწოვნილი ლაშქარი.
 და გადაწყდება საკითხი
 ანაფორიან ღვთისა,
 რომელიც ღირსი ვამხდარა
 ერმალოს კრულვა-წყვევისა
 ჰე მაშინ ნახეთ სერიი
 მღვდელ-ღიაკონთა რვეისა,
 რომელი ავა ტახტზედნი,
 ან თუ ვინ დაიძღვევისა.

ჩვენ კი, ვთქვით, სტერიო ერთ ულო,
 რომ მათზე ყველა ახია,
 რომ მემარნი ამგვარნი
 უმეველ ქუა მკვახია.
 და თუ კი ვინმემ გაუდოს
 ჩვენი გმობა და ძრახია,
 მკლავ-მარჯვეთ გადაუქიროთ
 „ემშაის“ მწვე მთრასია.

აწ კი ვოლდემარს, მეგობარს
 ვკითხვით: რა გადაჰკიდა,
 რომ ქვას და გუნდას ესვრიან
 ყველა, პატარა, დიდი?
 რომ ფოთის იუპიტერნი
 გამწყურაღან, გაბრაზებულან
 და ძენი განცხრომისანი
 სასტიკათ ამხედრებულან?

ნუ თუ „ემშაის მთრასმა“
 აუწვიათ ზურგის კანია
 და ძალზე დაუჯვდა
 ჩასუქებული ტანია?
 მამა უტხონდა!!! მაგვეარებს
 სკიროლათ დიდი ხანია...
 მხოლოდ მაოცებს მათ მსახურთ
 ქეჩო რამ მოაფხანია?
 რომ ქუჩა-ქუჩა დადიან
 მუდამ გულ-შემოყრილები
 და ვოლდემარის სამტროთა
 დაულრქენით კბილები?
 განა სწყენია ბატონებს
 რომ ღირსეულათ ჰკადრესა
 და მათ კი მტკარეოდენი
 წიოიცი კი აღარ არგესა?
 რად აუჩქარდენ... ვოლდემარს
 ნიჭიც შესწვეს და ღონეც,
 რომ რიგიანად გაოცხოს
 ამგვარი ზრახვის მქონეცა.
 და სამღურაფი მერმედ ხომ
 აღარ ექნებათ მერტა...
 მაშინ არა სჯობს დამშვიდდენ

და დაიწყნარონ რეტიო?
 ზარატუსტრასაც მწვეიოთი?
 რა დამართვია ნეტავი,
 დღეს-ხვალ რომ სამსახურიდან
 გამოშვრალდება ბედ-შავი?
 ნუ თუ „ომშესტვის“ შიკვებმა
 „რუსეთში“ რომა ბუღობენ
 უფროსთა საკეთილ-ღღერთ
 მუღმიე მელისი კუღობენ,
 მათ გამოაწყვეს ეგ საქმე
 დიდხნით რომ მოაგორებენ
 (არ საიმედო ელემენტს
 თავიდან მოიშორებენ?)

კეთილი, ამგვარ ყმაწვილებს
 სხვა რაღა მოეთხოვება,
 გარემოება ხელს უწყობთ,
 დღეს იმათია დრობა.
 მაგრამ დროთ ცვალებადობა
 ხომ ცხოვრებისა წესია?
 და მაშინ ყველა მოიმიკის
 რაც წინათ დაუთესია.

ტლინკაძე.

მოკითხვის სტაბრი ემშაისადმი.

ემშაიკაჯან, ნოგონენ
 მეგობარო უტუთო,
 რაც მოგწერა სულ სიმართლენ,
 ერთიც არ მოგატყუაო.
 ეხლაც სენან—მოაყარი
 წაიკითხე უსტარიო.
 ზოგს ეტბილოს, ზოგს ეწვეავს
 ისე, როგორც ისარიო.

ბიძა ემშაო! ასე დაწამანისსეუდა ლესურინდან
 კვლავ ვიღვრდი ქალქ ოსურკეთში, ბაზარში დიდი ბა-
 ზრთაბა იყო. აურებს ხალხს მოეყრა თავი. გამოდგე-
 ლი ბეური ჩნდა, შეიდგეული კი არავინ. მოესუნეს შესს
 ემშაეულმასს წრეგანდელი სიმინერე მისსეულისა, მკერამ
 ბაზარი მახენ სავსე იყო სიმანდათა, დამითა, ქვილითა,
 ღვინითა, ქათმითა, დღრ-გაჭითა, ძრთხა-ხარითა, ჯარ-
 ტუითა, ფერითა, სპანითა, ბაღლითა, ქვებითა, „კარდ-
 ლითა“, ქამრებს წელზე სურტუკითა, შკერის წუნელითა,
 შუითა და უფლისა თფლით მონაგარითა. და იყო სიანფე
 გასაღარ უფელითა, მკერამ არავინ იყო შეიდგეული.
 ძრეულ გამოვივრდა! ხალხი, რომეულად ჭინჩხულის სიმ-
 ტირის გამო, მოელის აუდილებულე შიმშილს, რატომ
 უიღის ასე ჩალის თასათ უფელიეგეს შთაქო. შინდლად
 გამოეკო მიხუბი, რისიფოსეც მიგმართე სიმინდის კრის
 გამოდგეულს, ფრთად დაფრეულს და ჩაიონჩაღს (ესე
 იგი ჩაეოსეილს).

— რეიზგადი, ძამავე, ასე იფეთი სიმინდს? (ფუთს შეიღმურნა) ძან ბგერი მოგვიდა არა?

— ისე გამოგვიფინხნა მტერის თვახი, რავც მე ელას ხაღივი გამჟვანებულე! ის ეთო მძვე გასვიდი ებას ხომ არ მიქნევ? ბანხებს ბინში ლუმეს ამურთევი და გასვიდი წამვიდი, მანა ხომ გავიგონას შემდეგული ბური, ძადღმა არ ქამო. ნორთა ნაქრთელდაის ფასთ ვედი, მანა მუშტარი მინც არავინ არის. ერთი თვის მერე, ახლა რომ შეიღ მურათ ვედი ექვს აბა-ხათ უნდა ვევიდო. მანა რა გენს გავტერება გაცნ რას არ აქნებეს...

— რა იყო, რა მოგვიდა?

— შენ ვინცხ ხარ ჭურში ხომ არ იფივი? ვერ უე-იტრევი რა გვიდ-ხხვიდი ეთო, მთელი სოფელი რომ შეიძარ ტრეის გავიდა და ეჭვი მისა ძახილი რომ ეთო მუთრე ამისნაი გავტერება ქე-ხორციელს არ ახსოვს.... ებებო ტრეში ვეფავთი შეშინას, ამ დროს შემოვიან სო-ფელს, ჯამის წდის დროინდელი ედოინკაოთიდა, ხ-გზე სანა, ზოგზე შეიდი თუმანი და მტრეც. ვეფუენებს ქალები და ქე ვაგენ დამწვევული შინ, ბანხები ელავენ თავს, ქუთის ნაწვევტი ფეებს აფანხანებს: ნენი მინდა

ნე'აო. ტირიფს რო შურთ თათარ და ურდას შეეწუ-ღება მივანბაკე-მივანბაკე რაც მქონდა იქიწონხა, რომ გასაღებობა, ვედაფერი ჩამევიტრე მანა უღლიტრს რომ ჩემსავით უკირს, ვინ იფიდა? საყენ შეშას ექვს მან-თად ვედი, მუშტარი მინც ვერ ვიმონე. ამეფრ სინდო-ცხვლაგ გო რა ეთხარ... ჩემნი გამოთხავი არავანია.

სხვებსაც გამოგვითხე მიხეზი და ვედაამ ამის მსგავსი გამოვიერთა...—დადნებული სანასკეოს გავ-შორდი და ქეხაში გავედი. გზაზე ერთი ნდემთავანი (ებილბე და გვერდებ ჩამტრეული) შემიხვდა—ამაგი შეგვიჩხე თუ რატომ წვედა მთიი სანაირის საქმე. საქმე მშვენიერათ, სამაგალითოი წვეკანათ, ვედა გავ-ღახულებამ და შეტინებულებამ ვედაფერი ვეფრეთო.

ზინდლი გავშორდი ამ იბის მთამინებით საყსე გა-ქეიელ ,,მოქალაქეს“ და შო, ღნისკენ შეგვეფი: გზაზე თავ ბარ მტრევიო, სიდიად-ხარბით და სიმდერთი სამოქალაქო სვადის მოწაფენი მობრდენ. დიდი ხანი მხარ: ღათ არავის ენახ ამ სვადის მოწაფენი. ძირელ გამოვიდრდა, მინდდა მთი მხარელების მიხეზი გამე, თ.

თურმე სუ იტრეი ბავშვები ინსექტორის ინდი-დენტს დღესასწაულადღენ.

შენი უღირსი მოტიქელი უტუ?!



ნაილუბი ეშხანსადი

მომხანება სამტრედილიან.

1 ნომებერი საისტორიო დღეს სამტრედილი-თათვის; მეცნიერ-ისტორიკოსნი ოქროს ასობით აღნიშნავენ ამ დღეს. სამტრედიას წინდაწინვე და-ეცყო სადღესასწაულო რელიფერი. ყოველგან ფაც-ფუსტი, საქმიანობა; ვაჭრები მტრის სიამოვნებით სა-დღესასწაულოთ ეზადებოდენ.

ინტელიგენტთა და მასწავლებელთა თავდადე-ბა-უანდარობის აწერას ხომ ვერ შესძლებს ჩემი სუსტი კალმის წვერი. ყველანი სადღესასწაულოთ მორთულნი 2—3 კაციანად ქუდებით, ქუჩებში და-ფუსუსებდენ. შეიძლება მოთმინებაც არ გვეყო თქვენო უეშხაეულესობავე, რომ არ ვამბოა მდენ

ხანს, თუ რამ გამოიწვივა ასეთი არა ჩვეულებრივი ამაგი სამტრედილაში. იქონიეთ ცოტაოდენი მო-თმინება! ამ დღეს ხონის გზით ვვეწვია კაჭკაის! ს-პოსწავლო დაქვის მხრეწელია ბ. რადლოვი. მეც სხვებს აბა რით ჩამოუვეარდებოდი? საზამთროთ გა-მოეწვევი, თავზე სამ კაკარდინი ქული დავიხურე და ხელში ათასჯერ ნაკურთხი ჩემი მათრახი. ვიფი-ქრე და ერთ წუთში სოფელ კელაში ვაფრდი. სამ-წუხაროთ იქაურ ,,ცერემონიებს“ ვეთარ მოუწარს. ის იყო რევიზია გეთავებია და ბ. ისაკის ,,ზახრა-ფუსტის“ (за храбрость) მედალზე წარდგენას პპირდებოდა, როგორც დამსახურებულს და უფრო-გულეს პედაგოგს მთელს გუბერნიამი ამის შემდეგ უჩვეულო სტუმარი სამტრედილისკენ წამოვიდა. წინ მოუძლოდა რამდენიმე ათეული ,,სტრანეიკებისა“, მისთვის, რომ ვინმე თავზე ხელ აებულე ვებბა-

ბატონს წესიერება არ დაერღვია. გზა და გზა პროცესის თანდათან ემატებოდა. ამ როგათ მოაღწია 2-კლასიან სასწავლებლის მახლობლიათ. სკოლის ძაბობაში მორათულ მოკახულ იყო, ვით პატარაძალი კეკელუცი, მაგრამ დასეთ დებედურებს, სკოლის ნაცვლათ არამკითხებებმა მეპურის სახლში უკრის თაი (ღობათ ღიორი შვირი ეგონათ). ამ დროსთვის საგანგებოთ არჩეული დებუტაცია მოკრძალვებით წარუდგა და შემდეგი მოახსენა:

„Господи́нь попучи́тель, ми Самтредки жи-
тели не имѣимъ виши школа и просимъ
здѣлать здѣсу чети́ръ прогимна́зия и одинъ
универсте́тъ.

—ოპო, ჩინებული მდა გავლივებით! კიდევ კარგი, რომ ეხლა მანქა ქეშპირიტბათ მიგინწე-
ვიათ: „სწავლა სინათლე, უსწავლელობა კი—სი-
ნღლე“. მე უსაზღვროთ მოხარული ვარ თქვენი
კეთილის განზრახვით; ვცდებდი ყველივე ჩვეუ-
ლებრივათ შევესრულო. ამის შემდეგ ძვირფასი
სტუმარი ვანშამზე მიიწვიეს. შევატყვე, თუ ყარა-
ულები არ შემეშებდნენ, ვინაიდან სიმეღობის ბა-
რათ არ მქონდა, ამისთვის მივიღე უჩინარე სახე
და დარბაზში ერთ სკამზე წამოესკუპდი. შემოუს-
ხდნენ მაგიდას: ჩინოვნიკები, დელეგატები, მღვდე-
ლი, ვაჭრები და მრავალი სხვა, ერთი სიტყვით
ყველა წოდების და მღგომარეობის ხალხი ვანაღდა
სადლეგრძობები და „კრებები“. ბ. რუდოლფის
თვის რომ დამტკიცებიათ ნამდვილი სიყვარული,
მათი მამულიშვილობა და ნამდვილი სამახური
ბაღისა, მისი სადლეგრძელი 7 ყანწებით („ДЕЗУ
КАПЛИ“ არა იტყვიან სწორათ ისე დასკოლეს
დალოცვობებმა.) სადლეგრძელი დებემა აფორინეს
თფილისში მის მიუღვლესთან. ცოტა ხნის შემდეგ
შეზარხოშებულ სტუმრებმა ტიკიცეს მოუმატეს. ამ
დროს ბ. რუდოლფმა დელეგატები დაითანხმა ერთ
დაბალ საშუაგნათ სასწავლებელზე, რომლისათვისაც
შეზარდა და საქორა ადგილი შეძენილ უნდა იქნას
არა უფვიანეს მან სექტემბრისა მომავლ მეოც-და
ათე საუკუნეში. ასე გათავდა ეგ საისტორიო ვახ-
შიმი და მხიარული სტუმრები ღამის 2 საათზე
დაიშალენ. მეც არა ნაკლებ ნასიამოვნებით სახლი-
საკენ გამოულექე.

პროვინციელი ეშმაკი.

ღიღი-ჯიხიაში. ძნელია ორი ღვინის სამსა-
ხური და ორი გზით სიარული ბღაღოჩინი ს. დე-
ვიძე ალბათ ამის გამო გაუწყურა შრევლს, როც
ხალხმა უკეთესი გზით ისურვა მიცვალვების გე-
სვენება და მოძღვარმა უპასუხათ. შეიძლება მოძღვა-
რი იმასაც ფიქრობდა, რომ ფართო გზას ადამიანი
ჯოჯოხეთისაკენ მიყავს, ხოლო ძნელსა და საკალ-
ფებოს, სამოთხისაკენ. ვინ იცის! აქ კი მრევლიცა
და მოძღვარიც, სხვა და სხვა გზით წასულნი ეკ-
ლესიის ეზოში შეიყარნენ. გასაყვირი აქ მხოლოდ
ისაა, რომ მამა დევიძის ლოცვა-თხოვნით იქ უცებ
ხუთიოდ სტრახნიციც ვანდა და საგრძობელი

„მისსაის“ შემდეგ რომოდენიმე კაცი სატუსალო-
შიაც წაიყვინეს. ასე სჯის „ოღონა“ ვეგელს, ვინც
თავის მოძღვარს წყალში სატუსალოში ჩაქაყვე-
ბა ხოლმე.

ყვინილაძე

ენეკი. ამ წინაზე კიკურის დანიშნა იმის
გამო, თუ ვინ იპოვიდა ჩვენს სამკითხველოს. წარ-
მოიდგინეთ გამგეებსაც შეეშალათ ის უთვალავი „ვი-
ვესკები“, რომელიც სამკითხველოს შენობას ჰქონდა.
პირბო არავის აუღია. სამაგიეროთ მეორე გაჯიბ-
რებამ ჩინებულით ჩაიარა-საქმე იმაში იყო, თუ
ვინ უფრო მაღალი ხმით იეთხავდა გზუნის სამკით-
ხველოს თთანში, ან ილაპარაკებდა ვერც რაიმე
ამბავს. ამ მხრივ პირველი ხარისხის ჯილღო 7 მი-
რმა მიიღო. ამათში 5 კაცია და 2 ქალი. მეორე
ხარისხის კი თერთმეტმა, 7 კაცია და 4 ქალი.
ღანი.

იანეთი. (ეწრის საზოგადოება) სალომეს ეზოს
კარებს მუდამ დღე ურცხვი ხალხი ახვევია. ჩვენს
სოფელი ისე საშინლათ შეგნებულია, რომ მისი ახ-
რით ქიშფერ-ტატლობს ქვეყანაზე წამალი არა სჯო-
ბია და ჩვენს სალომეს კიდევ ვერც ერთი ექმი-
წარმოიდგინე მათი კეთილ-გონიერება: ადგილობ-
რივ ქსენონში ექიმის დახმარება და წამალი მეოთ-
ხედ ვასათ ეძლევათ, მაგრამ სალომეს მოთხიხიხე-
ბული ქიშფერ-ტატლობს აბა რა წამალი უნდა სჯო-
ბდეს.

ონწარა.

სიმონეთი. ჩვენს სოფელში აღმოაჩინეს ახალი
ჯიში სოფლის „ინტელიგენციისა.“ პროფესიის მი-
ხედვით მათ „მოხეტიალე დემოკრატებს“ ეძახიან.
ისინი ღღიან-ღამიან გზავ-გზა დაყოლობენ, იგონ-
ებენ ახალ-ახალ ტერმინებს ლანძღვისას და აგრეთვე
ახალ-ახალ გასართობებს. მაგალითად გზაზე გაჩრე-
ბული ურმის ვადაბრუნებას, გზიდან გადაცდებას და
სხვ. ხალხი მათზე დიდ იმედებს აყარებს. უარესი
რამე, არც ადგილობრივ „დამცველებზე“ ითქმის.
ყაყიაი.

მათხოჯი. მათხოჯი სიგრძე-სიგანით
ორი და სამი ვერსია,
მაგრამ სათქვერო გვაგებთ
ზომაზე უმეტესია.
სი თუნდ მამა მოძღვარი
კოლოთა ვამგებელია,
მაგრამ ქანქარე მეტს ფიქრობს,
იქით მიუწრის ხელია.
თხოთვა, ვარი მიიღო.
აღარ ასვენებს ჟინია
და საქალბო სკოლისა
დახურვა დაუქრია.
სხვები მას კულში მისდევენ,
როგორც ღაჭავა ღეჭია,
უსიარცხვოდ ბანსა ეტყვიან

უწონა კბილ დანაკრეკია.
მესთხოვენ ჟორდანიას,
წმინდა თედორეთ წმობილსა,
რომ მან მოწყალო თვალებით
მხოხელს სოფელს ცოდვილს,
დაზირ-მოტრევალი.

თუმც თავს კარგათ გრქმობენ უჭკრამი
სხვათათვის მოაქვს ვნებანს...
გთხოვთ, ვაგვიტურო, მითრბით,
ზურგზე აღინათ მტვერია,
თორემ თუ ასე ვასტანა...
რალა ვსთქვა?... თქვენი მტერია...

ხაშური. სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყო პა-
ტიცემულ საზოგადოებას. დიდი ხნის მძიმე ავათ-
მყოფობის შემდეგ გარდაცვალოა ჯერ კიდევ ახალ-
გაზრდა და ჯან-ღონით სასვე ყმაწვილი: „კონდუქ-
ტორების პროფესიონალურ კავშირათ“ წოდებული.
მიცვალბულის მოკეთეი გულითადი შწუხარებით
აუწყებენ ამ ამბავს ნათესავთა და ნაცნობთ. დაკრ-
ძალიერ მას 17 ნოემბერს, ხოლო მანამდე ყოველ
საღამოს მოიხსენიებენ განსვენებულის სახელს ერთ-
ერთ ადგილობრივ სამიკიტროში.

ახლად გაეშავე ული.

ნეგოიი. სწავლა-განათლების საქმე დღვის ნა-
ბიჯით მიიწვეს წინ. ვინაიდან ძველი სკოლის შე-
ნობა საკმარი არ დარჩა, განიზრახეს მისი გადიდება.
„ამშენებელი“ ვეჩილები ენერგიულით მოქმედებენ.
ვინაიდან „პატიცემულ“ იგილიანეს სახლი „ოფათ“
იშოვნეს, ქეიფს მოუხშირეს. ჯერ ჯეროებით ერთი
ცხვიარი და რამოდენიმე ფუთი ღვინო შეიწირა ამ
კეთილმა საქმემ და კეთილმა ხალხმა.

გლუბი.


სამიქაო. ვიცი ძმაო მოგწყინდება
მუდამ მღვდლებზე საუბარი,
(მათრახს მათზე ნავარჯიშებს
ალარ უძლებს ვგონებ ტარი)
მაგრამ ჩვენი სულის მწყემსი
არის ერთობ საშოშარი,
ღრამის ფულებს ჯერ ხალხს უთმობს
მერმე იცის საჩივარი.
თუ არ მიეც; სად წაუხვალ?
სტრაენიკი და მისი ჯანი
ისეთ მუხრუქს შემოგარტყამს
რო არ გექნეს გასაქანი.
ცოცხალი ხარ, სულს ამოგხდის,
კაცს უქაქრობთ არად! გასხავს,
მოკვდები და მაშინც ფული,
უფულოთ ხომ არ დავმარხავს!

ვედარდი.

დ. ხაშური. პატიცემულო ეშმაკო!
გთხოვთ, ინახულით ხაშური,
რადგან საქმეა, მერწმუნე
სადულისხმო და საშური.

აქ ნახავთ კოლა ტატიცეს,
სწორეთ რომ სამთარაოსსა,
(საკუთარი სახლში რომ სცხივრობს,
სასაულოასთან ახლოს).

იგი ავათ გყავს ძალიან,
ქირს ენის დამტელებანი,



მათრახის ფოსტა.

**დაუბეჭდავი მასხარ რედაქციიდან არავის არ უბ-
რუნდება.**

საპილაო. კალამს. რუსული წერა გცოდნიათ და
ნუ თუ საკუთარი სახელი და გვარი ალარ იცით? არ დი-
ბეჭდება.

ზარცხასანიბი. სამკაქეს. ნუ თუ ახლა შეიტყვეთ,
რომ ჯვარის წერაში მღვდლები ფულს ს იღებენ? არ ვიცი
სად გაიზარდეთ საცოლო ყმაწვილი!

ქულაში. თა ვ დიდას. „შენი ტირიმე რედაქტოროს
ეს ლექსი დაიბეჭდე და შენდგ კიდევ გამოგიგზავნია“ იწე-
რებ-თ. ჩვენ ვასრულებთ თხოვნას. მაგრამ ამგვარივე თხოვ-
ნით: „შენი ტირიმე ბ-ნო თავ-დიდაგ. ზეტს ნუღარ გამოგვე
ზავნი. მართალია, ლექსის ღირებება რომ თავის სიდიდებზე
არ ყოფილა დამოკიდებული მას მშვენიერათა ასაქუთებს თქვე-
ნი ტომკმედობა:

„არ ვიცი თუ მებს აკლია,
სინათლე თუ ამ ჩვენ თვალებს



კლავინდუოთ თავის სხივებს
 ეს არ ისერის აბარბალებს.
 ამოდენა დარდ და ენებამ
 გამოილავა სწორეთ თავი,
 რაცხა დარბის აქეთ-იქით,
 რა იქნება ის ნეტავი?

ის აღბათ რომელიმე უპარტიო ინტელიგენტი იქნება,
 რომელიც დღეს აქ არის, ხვალ სხვაგან ამოყოფს ხოლმე
 თავს, დროს შესაფერად.

მუთისინი. ჭრელ გველს. თქვენი ლექსიც ერთობ
 ჭრელია. არ დიშნებდები.

სამხრამიძე. ცოცხალს. „არც კაცი ვარგა თუ ცო-
 ცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი
 არა რა არგოს.“ — ათავებთ თქვენს სუფთოვო ლექსს დაბ-
 რეშუმის პარკს, ჩვენ რასაკვირველია არაფერს გვადრებთ,
 მაგრამ ნეტარ-სენებული ბარათაშვილი რომ მოსწერებოდა ამ
 ნაწარმოებს უთუოდ იტყვოდა:

„არც კაცი ვარგა თუ ახრ ნაკლე მგოსანს ცხახს.
 იჯდეს სოფელში და ამგვარი ლექსები ჩნახოს.“
 თქვენ იმიტოა შეგიძლიათ ინუგეშოთ, რომ ბარათაშვი-
 ლი ცოცხალი არ არის.



„მათრასის“ რედაქციისგან.

ჩვენი გაზეთის № 22 მოთხოვნებულა მატარა ცნო-
 ბა სიანის საფოსტო განყოფილების შესახებ. როგორც
 მრავალ სანდა მართა შეკითხვამ გამოარკვია. რედაქცია
 შეტყობისა შეუყვანია კორესპონდენტს (მატარა-ეშმაკს)
 რისთვისაც საუკეთესო ვუცხადებთ მას.

დ. სამხრამიძე.

დღეიდან საღვურის წიგნის შკაფის გამგემ გაიჩინა
 ჟურნ. — გაზეთების გამყიდველები შემდეგ საღვურებზე:
 სუჯავახო, ნიგოთი, ღანსხუთი, ჟუშოთი, სუფსა და ნა-
 ტანებში. მსვე ყვეს გაზეთების აგენტი დ. ხონში —
 ვეტინი მუბეკე, სენაკში — ზ. ხუფუა და ჟიხისში — მე-
 ტაზეუე, შენათა და ნემსაქსიან. ამით ვარდა ყვე-
 ლა ადგილობრივი გაზეთებისა, იყიდება სატახტო
 გაზეთებიც. აქვე იყიდება ქუთათურა გაზეთი „ფონი“
 შკაფის გამგე ურამან კობახიძეა.

იუმორისტულ-პოპულიზრული-საფილ-კვირუ-
 ული, სურათებიანი ჟურნალი

**„მათრასი და
 სალაშქრო“**

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით —
 2 მან. 50 კ., ერთი თვით — 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირე-
 ბულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქ-
 ციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალა-
 შქროს“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი ვანცხადებები: პირველ
 გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე — 10 კ.
 დროებითი რედაქციის ადრესი: Тифლის, Типогра-
 фия Т-ва «Шрома» Василию Болквадзе.

იუიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე კავებზენებთ მსურველთ:

- 1) „ეშმაკის მათრასი“ 1907 წლის
 13 ნომერი ერთად შეეკრილი. 13. 30 კ.
- 2) „ეშმაკის მათრასი“ და „მათრა-
 ხი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შე-
 კერილი 2 — 50
- 3) „აღმანახები“: აკაკი, ეშმაკი,
 ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი,
 —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული — 50
- 4) „ქრისტიანე“, ოთხ მოქმედებიანი
 დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან 3.
 ირეთელისა — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირე-
 ბულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფუ-
 ლი არ გადახდებია.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამ-
 ბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის
 მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

